მომსახურების ხელშეკრულება N 15

ქ. ლაგოდეხი 04 მარტი 2022 წ.

ერთის მხრივ მც. მეწ.,,გიორგი ხარაიშვილი“ პირადი #25001011343 შემდგომში წოდებული როგორც „შემსრულებელი“ და მეორეს მხრივ ა.ა.ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება წარმოდგენილი მისი დირექტორის, თამარი ბაღაშვილის სახით, შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1,1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს მომსახურება, კეროდ, საბავშვო ბაღებში სხვადასხვა სარემონტო სამონტაჟო სამუშაოები (კოდი 45400000), იატაკისა და კედლის საფარის დაგება (კოდი 45430000), შენობის მოწყობის სხვა სამუშაოები(45450000),კედლის ფილების გაკვრა (კოდი 45431200) ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მომსახურების საფასური ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობების შესაბამისად

1.2. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს უშუალოდ.

2,2 მომსახურების გაწევისას, მისი ყველა ან რომელიმე ვალდებულების მესამე პირზე გადაკისრება შემსრულებელს შეუძლია მხოლოდ დამკვეთის თანხმობით.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების ბოლომდე შესრულებამდე.ხელმოწერის დღედ ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღე.

2.2. წინამდებარე ხელშერულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს „შემსრულებელი“ შეასრულებს „დამკვეთის“ მოთხოვნის მიხედვით, საბავშვო ბაღების საჭიროებებიდან გამომდინარე 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

2.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 5 იანვრამდე.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. სამუშაოს შესრულებისათვის „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ უხდის 4950(ოთხი ათას ცხრაასორმოცდაათი ლარი) ლარს .

3.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით „შემსრულებლის“ მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.

3.3. „დამკვეთი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური გადაიხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მხარეთა უფლება მოვალეობები

4.1 „შემსრულებელი“ ვალდებულია:

4.1.1 შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.

4.1.2 შეასრულოს სამუშაო ამ ხელშეკრულების 2.2. მუხლის მიდეხვით.

4.1.3 „დამკვეთის“ მოთხოვნით 3 (სამი) ვადაში უსასყიდლოდ გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ სამუშაოს შესრულების პროცესში „შემსრულებელმა“ გადაუხვია ხელშეკრულების პირობებს, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება.

4.2 „შემსრულებელი“ უფლებამოსილია:

4.2.1 სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე დაიქირაოს, მოიწვიოს სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები დამკვეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების მიზნით;

4.2.2 დამოუკიდებლად მოაწყოს საკუთარი სამუშაო პროცესის ორგანიზაცია და უხელმძღვანელოს მას, განსაზღვროს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ხერხები და მეთოდები, განსახორციელებელი ოპერაციების რიგითობა და ა.შ.

4.3 „დამკვეთი“ ვალდებულია:

4.3.1 სამუშაოს დასრულების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში დაათვალიეროს და მიიღოს შესრულებული სამუშაო რის შესახებაც შედგენილ უნდა იქნეს მიღება–ჩაბარების აქტი, ხოლო ხელშეკრულებიდან გადახვევის ან სამუშაოს სხვა

ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, რაც აუარესებს სამუშაოს შედეგს, დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსრულებელს“ .

4.3.2 გადაიხადოს საზღაური ამ ხელშეკრულების 3–ე მუხლში მითითებული ოდენობითა და პირობებით.

4.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიაწოდოს „შემსრულებელს“ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალა.

4.3.4 უზრუნველყოს „შემსრულებლისთვის“ მიწოდებული მასალის ხარისხიანობა.

4.4 „დამკვეთი“ უფლებამოსილია:

4.4.1 ნებისმიერ დროს მოსთხოვოს შემსრულებელს გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციისა და ანგარიშის წარდგენა.

4.4.2 უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე ნებისმიერ დროს სამუშაოს დასრულებამდე და აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაკეთილსინდისიერად შესრულებაზე.

5.1 სამუშაოს შესრულების ამ ხელშეკრულების 2–ე მუხლში მითითებული ვადის გადაცილებისთვის „შემსრულებელი“ უხდის „დამკვეთს“ ჯარიმას ხელშეკრულების თანხის 0.01 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

5.3 ხელშეკრულების 3–ე მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების ვადის დარღვევისას „დამკვეთი“ უხდის „შემსრულებელს“ ჯარიმას ხელშეკრულების თანხის 0.01 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის

5.4 ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან ან დარღვევათა გამოსწორებისგან.

6. ფორსმაჟორი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც

შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.2 .დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმევა გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ: წყალდიდობა, პანდემია, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს. თუ ნებისმიერმა ზემოაღნიშნულმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

6.3 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 5 დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

6.4 შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დასტურდებოდეს.

6.5 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდა 15 დღეზე მეტი დროით, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობა. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო

7. დავა

7.1 ყველა დავას მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოებში საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, თითოეული მხარისათვის.

8.2 ამ ხელშეკრულებაში შეტანილი ყოველი ცვლილება და დამატება, ნამდვილია წერილობითი ფორმით დადებისა და მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემთხვევაში.

8.3 ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება, მოლაპარაკება, მიმოწერა.

8.4 ამ ხელშეკრულების რომელიმე პირობის ბათილობა არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას.

9. მხარეთა რეკვიზიტები

,,დამკვეთი“	„შემსრულებელი“
ა.ა.ი.პ.ლაგოდეხის სკოლამდელი აღზრდი	მც. მეწ. ,,გიორგი ხარაიშვილი“
დაწესებულებათა გაერთიანება	ლაგოდეხი.
ქ.ლაგოდეხი 26 მაისის ქ.#23	ბანკის რეკვიზიტები:
ბანკის კოდი TRESGE22	სს ლიბერთი ბანკი
,,სახელმწიფო ხაზინა”	LBRTGE22
ანგ. ნომ. GE24NB0330100200165022	ანგ# GE45LB0112151335120000
საიდ. კოდი 233146798	გიორგი ხარაიშვილი
დირექტორი თამარი ბაღაშვილი	Giorgi Kharaishvili Digitally signed by Giorgi Kharaishvili Date: 2022.03.04 12:32:15 +04'00'

Union of Preschools of Lagodekhi Municipality Digitally signed by Union of Preschools of Lagodekhi Municipality Date: 2022.03.04 13:21:00 +04'00'